სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტოს'' უფროსს,

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ელექტრონულად წარვადგინეთ სკრინინგის განცხადება, ხოლო მიმდინარე წლის 4 ნოემბერს მივიღეთ პასუხი, დახარვეზების შესახებ, რომ დამატებით წარმოგვედგინა საქმიანობის განხორციელების ადგილის shp ფაილები.

მოთხოვნის თანახმად წარმოვადგენთ განახლებულ დოკუმენტს, სადაც დანართის სახით თქვენი მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ადგილის shp ფაილები.

გაცნობებთ, რომ შპს „ბერი კომპანის" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ანასეულის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბაღი ორ მიწის ნაკვეთზე:

1. საკადასტრო კოდი - 26.26.50.074 - ფართობი 32 799 კვ.მ.
2. საკადასტრო კოდი - 26.26.17.219 - ფართობი - 5 801კვ.მ.

ორივე მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი ჯამში შეადგენს 38 600 კვადრატულ მეტრს, საიდანაც ბაღი გაშენებულია დაახლოებით 38 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე. სულ გაშენებულია 13 100 ძირი 3 ჯიშის ლურჯი მოცვის ნერგი. ორივე მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარედ. აღნიშნული ბაღის მორწყვის მიზნით მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი-სამელიორაციო სისტემა. აღნიშნული სარწყავი სისტემის წყლით მომარაგება გათვალისწინებულია იქვე მდებარე მდ. ორაფოდან.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მოცვის ბაღის სარწყავი სისტემის წყლით უზრუნველყოფის მიზნით დანართის სახით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას (ანგარიშს) და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

1. დანართი - სკრინინგის ანგარიში - 24 გვერდი
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან
3. მიწის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერები საჯარო რეესტრიდან

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
09. 11. 2022
№ 6322

პატივისცემით

შპს ,,ბერი კომპანის“ დირექტორი

ელენე თაყაიშვილი

ტელ. 558 58 51 55

ელ. ფოსტა: elene.takaishvili@gmail.com